KA030145560711919

**№ 01-1346** **12 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

# მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 21 თებერვალს, ბელგიის სამეფოში, ქ. ბრიუსელში იმართება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის VI თემატური ჯგუფის - „დასაქმება, სოციალური პოლიტიკა და თანაბარი შესაძლებლობები, საზოგადოებრივი ჯანდაცვა" - რიგით მეოთხე სხდომა.

ზემოაღნიშნულ შეხვედრაზე წარდგენილი იქნება საქართველოს მიერ შრომისა და დასაქმების სფეროში განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაცია.

ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით წარდგენილია შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის შრომითი ურთიერთობებისა და სოციალური პარტნიორობის სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ლიკა კლიმიაშვილი.

ასევე გაცნობებთ, რომ მიმწვევი მხარე მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯებს არ ანაზღაურებს.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით უზრუნველვყოფთ მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ლიკა კლიმიაშვილისთვის და ასევე, მგზავრობის, სასტუმროსა და დღიური ნორმის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია